სსიპ კოლეჯი „აისი“

შრომის ბაზრის კვლევა

კვლევის განმახორციელებელი:

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამსახური

2024 წლის დეკემბერი

შინაარსი

შესავალი 3

კვლევის
მიზნები.....3

კვლევის
ამოცანები.....4

კვლევის
მეთოდოლოგია.....4

კვლევის
არეალი და სამიზნე ჯგუფი 5

კვლევის
ტექნიკური მხარე.....5

კვლევის
შედეგები.....6

დასკვნა.....22

შესავალი

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისთვის, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობასა და შრომის ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებას. შრომის ბაზრის მოსალოდნელი ტენდენციების გამოვლენა და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება, დასაქმებისა და ბიზნესის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, ვინაიდან სამუშაო ძალისთვის პროფესიული სწავლების დაგეგმვა უნდა მოხდეს შრომის ბაზრის შესწავლის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამიტომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისთვის მნიშვნელოვანია, დამსაქმებლის ინტერესების კვლევა მათი ორგანიზაციების საჭიროებებისთვის.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დანერგვის, ეფექტურობისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების განსაზღვრის მიზნით, კვლევა ჩატარდა კახეთის რეგიონის რვა მუნიციპალიტეტის (საგარეჯო, გურჯაანი, თელავი, სიღნაღი, ლაგოდეხი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყვარელი) კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან. შერჩევის ბაზის წყაროს წარმოადგენდა კოლეჯ „აისის“ პარტნიორი ორგანიზაციები და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ვებ გვერდზე არსებულ სტატისტიკურ ბიზნეს რეგისტრში არსებული ეკონომიკური სუბიექტების ბაზა.

კვლევის მიზნები

კვლევის მიზანია, ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებების შესწავლა, ასევე, შრომის ბაზარზე დამსაქმებელთა დამოკიდებულებებისა და განწყობების ანალიზი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების და პროფესიული განათლების მიმართ. მნიშვნელოვანია, დამსაქმებლების მოთხოვნების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიება, რომელიც უნდა მიეწოდოს დაინტერესებულ მხარეებს: პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სამუშაოს მაძიებლებს, სოციალურ პარტნიორებს, დასაქმების კერძო სააგენტოებს, სხვადასხვა კვლევით, დონორ და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

კვლევის ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები, რომელსაც წარმოადგენს შემდეგი ძირითდი საკითხების შესწავლა:

- პროფესიებზე მოთხოვნის შესწავლა კერძო სექტორის მონაწილეობით;
- სამუშაო მოთხოვნებიდან გამომდინარე, კადრების მომზადების, გადამზადებისა და შერჩევის უზრუნველყოფის განსაზღვრა;
- საქართველოს პროფესიული განათლების სექტორის როლის შეფასება დამსაქმებლის მიერ;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კერძო სექტორის თანამშრომლობის განსაზღვრა;
- დამსაქმებელთა მიერ იმ უნარების, ცოდნისა და თვისებების შესახებ რეკომენდაციები, რომელიც მათი აზრით დასჭირდებათ კოლეჯ „აისის“ კურსდამთავრებულებს მომავალში;
- კერძო სექტორისთვის მნიშვნელოვანი სპეციალობების განსაზღვრა, რომლებზეც შეიძლება გაჩნდეს საჭიროება მათ საწარმოში ან ორგანიზაციაში მომდევნო 1-3 წლის განმავლობაში ;
- პროფესიული სასწავლებლების მიმართ, რომლებიც ამზადებენ საწარმოს/ორგანიზაციის საქმიანობისთვის საჭირო სპეციალისტებს, დამსაქმებლის მოლოდინებისა და სურვილების შესწავლა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით, სატელეფონო ინტერვიუს გამოყენებით. გამოკითხვა ჩატარდა სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რომელმაც მოგვცა სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მოპოვების, გაზომვისა და ანალიზის შესაძლებლობა. თითოეულ კითხვაზე რესპონდენტს უნდა გაეცა მხოლოდ ერთი პასუხი. თუმცა, ზოგიერთ კითხვაზე დასაშვები იყო რამდენიმე პასუხის გაცემა. ინტერვიუს ხანგძლივობა შეადგენდა 20-25 წუთს.

კვლევის არეალი და სამიზნე ჯგუფი

კვლევა ძირითადად განხორციელდა იმ გეოგრაფიულ არეალში მდებარე კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან, სადაც განთავსებულია სსიპ კოლეჯი „აისი“ და მისი ფილიალები. ასევე, კვლევის სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა კოლეჯ „აისის“ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პოტენციური დამსაქმებლები კახეთის რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. საწარმოებში, ორგანიზაციებსა და მუნიციპალურ სამსახურებში კი რესპონდენტს წარმოადგენდა კადრების შერჩევასა და რეკრუტირებაზე პასუხისმგებელი პირი (კომპანიის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, ა.შ.). დამსაქმებლების შემთხვევაში კვლევაში მონაწილეობა მიიღო იმ ორგანიზაციის/კომპანიის წარმომადგენელთა უმრავლესობამ, რომლებიც თანამშრომლობენ კვლევაში მონაწილე პროფესიულ სასწავლებლებთან. რაც შეეხება პოტენციურ დამსაქმებლებს, ამ შემთხვევაში შეირჩნენ ის კომპანიები, რომელთა საქმიანობაც უკავშირდებოდა პროფესიული სასწავლებლების სასწავლო პროგრამების მიმართულებებსა და რეგიონის საჭიროებებს. კვლევაში მონაწილეთა სრული რაოდენობა განისაზღვრა 300 რესპოდენტით.

კვლევის ტექნიკური მხარე

კვლევა განხორცილდა სსიპ კოლეჯ „აისის“ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ორგანიზებით და კოლეჯ „აისის“ ზრდასრულთა განათლების კოორდინატორისა და დუალური პროგრამებისა და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის ჩართულობით.

კვლევის მეთოდურ და ორგანიზაციულ მომზადებას, მიმდინარეობის მონიტორინგსა და კვლევის შედეგების დამუშავებას ხელმძღვანელობდა სსიპ კოლეჯ „აისის“ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ანგარიშის მომზადებისას გამოყენებული იქნა ჩატარებული კვლევის შედეგები.

კვლევა განხორციელდა 2024 წლის დეკემბერში.

კვლევის შედეგები

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება „აისი“ მსურველებს ემსახურება კახეთის რეგიონის ოთხ მუნიციპალიტეტში: გურჯაანი, დედოფლისწყარო, ახმეტა და ლაგოდეხი. კოლეჯი „აისი“ ჯამში მსურველებს სთავაზობს 27 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას 9 სხვადასხვა მიმართულებით და 14 მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს დამსაქმებლებმა შემდეგი სექტორებიდან:

➔ სოფლის მეურნეობა

➔ წარმოება და გადამუშავება

➔ ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები

➔ინჟინერია და საინჟინრო საქმე

➔ არქიტექტურა და მშენებლობა

➔ პერსონალური მომსახურება

➔ ჯანდაცვა

➔ ბიზნესი და ადმინისტრირება

➔ ხელოვნება

➔ მუნიციპალური სამსახურები

კვლევა ჩატარდა კერძო და საჯარო სექტორის და მუნიციპალური სამსახურების იმ 300 წამომადგენელთან, რომელთა საწარმოები/ორგანიზაციები მდებარეობს კახეთის რეგიონის რვა მუნიციპალიტეტში. გამოკითხულ რესპოდენტთა საწარმოს/ორგანიზაციის საქმიანობის სფერო, რომელიც კოლეჯ „აისის“ ბაზაზე განხორციელებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებიდან გამომდინარე, საკმაოდ მრავალფეროვანია, პროცენტულად ასე გადანაწილდა:


ბიზნესი და ადმინისტრირება/ადმინისტრაციული სერვისები
5%
ხელოვნების მიმართულება/მხატვრული ქსოვილები
3%
ხელოვნების მიმართულება/თექის დამზადება
3%
ხელოვნების მიმართულება/მომინანქრება
3%
ხელოვნების მიმართულება/კერამიკული ნაკეთობის დამზადება
3%
ჯანდაცვის მიმართულება/ საექთნო განათლება
5%
პერსონალური მომსახურებაა/თმისა და სილამაზის მომსახურება
4%
პერსონალური მომსახურება/კონდიტერია
9%
პერსონალური მომსახურება/კულინარიის ხელოვნება
9%
არქიტექტურა და მშენებლობა/თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი
3%
არქიტექტურა და მშენებლობა/იატაკისა და ფილის სამუშაოები
3%
ინჟინერია საინჟინრო საქმე/შედუღება
3%
ინჟინერია და საინჟინრო საქმე/სადურგლო საქმე
4%
ინჟინერია და საინჟინრო საქმე/ავტომობილის შეკეთება
3%
ინჟინერია და საინჟინრო საქმე/ელექტროობა
5%
ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები
4%
წარმოება და გადამუშავება/ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება
3%
აგრარული მიმართულება/მებაღეობა
4%
აგრარული მიმართულება/მეფუტკრეობა
3%
აგრარული მიმართულება/სატყეო საქმე
4%
აგრარული მიმართულება/ვეტერინარია
7%
აგრარული მიმართულება/მევენახეობა-მეღვინეობა
10%
0%
2%
4%
6%
8%
10%
12%

როგორც კვლევის შედეგებიდან ირკვევა, გამოკითხულ რესპოდენტთა საწარმოში/ორგანიზაციაში დასაქმებულთა რაოდენობა არის განსხვავებული და შემდეგნაირად განაწილდა:

- 1-დან 50-მდე დასაქმებული ყავს - გამოკითხულთა 88%-ს.
- 50-დან 100-მდე დასაქმებული ყავს - გამოკითხულ საწარმოთა 12%-ს.



დამსაქმებლების მიერ, სამუშაო მოთხოვნებიდან გამომდინარე, კადრების შერჩევის, მომზადებისა და გადამზადების უზრუნველყოფა

ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმის გაგება, თუ როგორ უზრუნველყოფენ დამსაქმებლები კადრების შერჩევას, მომზადებასა და გადამზადებას სამუშაო მოთხოვნებიდან გამომდინარე. კითხვაზე, თუ როგორ ხდება შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე კადრების შერჩევა, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: დამსაქმებელთა 32% მიმართავს პროფესიული სასწავლებელს და მათ კურსდამთავრებულებს ანიჭებენ უპირატესობას, 29% რეკომენდაციით იყვანენ ახალ კადრს, 22% კონკურსის წესით იღებს და დასაქმების სამსახურს მიმართავს დამსაქმებელთა 17%.



ახალი თანამშრომლის აყვანისას შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე ადამიანებს ანიჭებთ უპირატესობას, თუ ცდილობთ ადგილზე გადაამზადოთ? ამ კითხვაზე დამსაქმებელთა 44%-მა განაცხადა, რომ შესაბამისი უნარ-ჩვევების ადამიანს ანიჭებენ უპირატესობას, 31%-მა განაცხადა, რომ ცდილობენ ადგილზე გადაამზადონ კადრი, 25%-ისთვის კი ორივე მეთოდი მისაღებია და ზოგჯერ ადგილზე ამზადებენ კადრს, ზოგჯერ ურჩევნიათ აიყვანონ წინასწარ განსაზღვრული შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე კადრი.



თუ ატარებთ შესაბამის ტრენინგებს თქვენს ორგანიზაციაში და რა პერიოდულობით? ამ კითხვაზე დამსაქმებელთა 95%-მა დადებითი პასუხი გასცა, 58%-მა განაცხადა რომ ატარებს ტრენინგებს თანამშრომლებისთვის წელიწადში ერთხელ, წელიწადში ორჯერ ატარებს გამოკითხულ დამსაქმებელთა 27%, რესპოდენტთა 11%-მა განაცხადა, წელიწადში სამჯერ და მეტჯერაც ჩაუტარებია ტრენინგი, მხოლოდ 4%-მა განაცხადა, რომ ტრენინგების ჩატარებას ვერ ახერხებს.



თუ ახდენთ არსებული კადრების გადამზადებას პერიოდულად და რა პერიოდულობით? ამ კითხვაზე დამსაქმებელთა 63%-მა განაცხადა, რომ ახდენს საკუთარი კადრების გადამზადებას ძირითადად წელიწადში ერთხელ, 25%-მა განაცხადა, რომ კადრები შესაძლოა წელიწადში ორჯერაც გადაამზადოს, 8%-ს კადრები სამჯერ და მეტჯერაც გადაუმზადებია წელიწადში, ხოლო 4%-მა განაცხადა, რომ კადრების გადამზადებას ვერ ახერხებს.



საქართველოს პროფესიული განათლების სექტორის შესახებ დამსაქმებლების ინფორმირებულობის ხარისხი

იცნობენ თუ არა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორს, ამ თემასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე დამსაქმებლებმა განსხვავებული პასუხები გასცეს. ორგანიზაციისთვის შესაბამისი კადრების მომზადებაში დამსაქმებელთა 26% უპირატესობას სახელმწიფოს ანიჭებს, 12% დამსაქმებელს, ხოლო 62%-მა უპასუხა, რომ პროფესიონალი კადრის მომზადება ორივეს, სახელმწიფოს და დამსაქმებლის პრეროგატივაა.



თქვენს დარგში ხედავთ, პროფესიული განათლების სექტორის როლს? აღნიშნულ კითხვაზე დამსაქმებელთა უმრავლესობამ (82%) დადებითი პასუხი გასცა, 14%-მა უპასუხა, რომ პროფესიული განათლების როლი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია, მხოლოდ 4%-მა გასცა უარყოფითი პასუხი.



კითხვაზე, ფიქრობთ, რომ დამსაქმებელს შეუძლია საკუთარი წვლილის შეტანა პროფესიული განათლების სექტორის განვითარებაში? გამოკითხულ დამსაქმებელთა 73%-მა უპასუხა, რომ დიახ, შეუძლია, 10%-მა უარყოფითი პასუხი გასცა, 17%-ს კი გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა.



რაც შეეხება, კითხვას, თუ როგორ უნდა შეიტანოს დამსაქმებელმა წვლილი პროფესიული განათლების სექტორის განვითარებაში, რესპოდენტთა გარკვეულმა ნაწილმა უპასუხა, რომ პროფესიული სასწავლებლები და დამსაქმებლები უფრო მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, რათა ფლობდნენ ინფორმაციას ერთმანეთის შესახებ. საწარმოს/ორგანიზაციის კვალიფიციურმა თანამშრომლებმა შესაძლოა, პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისთვის ჩაატარონ მასტერკლასები. მიზანშეწონილია, რომ პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები ადგილზე, საწარმოში გაეცნონ ახალი ტიპის დანადგარებს და მიიღონ გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება.

კითხვაზე, იცნობთ თუ არა, პროფესიულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, სადაც თავმოყრილია საქართველოში არსებული ყველა კვალიფიკაცია/პროფესია/ სპეციალობა? დამსაქმებელთა 60%-მა უპასუხა, რომ იცნობს, 15%-მა უარყოფითი პასუხი გასცა და 25%-მა განაცხადა, რომ მეტ-ნაკლებად აქვს წარმოდგენა პროფესიული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და საქართველოში არსებული პროფესიების შესახებ.



არსებული კვალიფიკაციები/სპეციალობები რამდენად შესაბამისობაშია თქვენს საწარმოში არსებულ/ საჭირო სპეციალობებთან? ამ შეკითხვაზე პასუხი გასცა დამსაქმებელთა იმ ნაწილმა, რომელმაც განაცხადა, რომ იცნობს პროფესიულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს. მათგან 49%-მა განაცხადა, რომ შესაბამისობაშია, 38%-მა განაცხადა, რომ მეტ-ნაკლებად არის შესაბამისობაში და 4%-მა განაცხადა, რომ არ არის შესაბამისობაში და 9%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.



თქვენს ორგანიზაციაში დასაქმებულთა რამდენ პროცენტს გააჩნია პროფესიული განათლება? ამ კითხვაზე, რესპოდენტთა 35%-მა განაცხადა, რომ მათ საწარმოში დაახლოებით 10%-მდე დასაქმებული არის პროფესიული განათლების მქონე პირი. რესპოდენტთა 29%-ს 10%-დან 30%-მდე პროფესიული განათლების მქონე თანამშრომელი ყავს, 25%-მა განაცხადა, დასაქმებულთა თითქმის 50%-ს მიღებული აქვს პროფესიული განათლება, საწარმოს წარმომადგენელთა 8%-მა განაცხადა, რომ 50%-დან 80%-მდე დასაქმებული პირი ყავთ პროფესიული განათლების მიმართულებით და რესპოდენტთა 3%-ს დასაქმებული ყავს თითქმის 80%-ზე მეტი პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული.



თანამშრომლობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან

ძალიან მნიშვნელოვანია დამსაქმებლის ურთიერთთანამშრომლობა პროფესიულ კოლეჯებთან. კითხვაზე, თანამშრომლობთ თუ არა, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ან ნებისმიერი სხვა ტიპის ანალოგიურ დაწესებულებასთან, დამსაქმებელთა 64%-მა განაცხადა რომ თანამშრომლობს, 26%-მა განაცხადა რომ მეტ-ნაკლებად თანამშრომლობას, ხოლო 8%-მა განაცხადა, რომ იშვიათად, საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს, მხოლოდ რესპოდენტთა 2%-მა განაცადა, რომ არ თანამშრომლობს.



რაც შეეხება, დამსაქმებლების თანამშრომლობის ფორმას პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებაში, პასუხები პროცენტულად გადანაწილდა შემდეგნაირად: სტუდენტების პრაქტიკის სწავლების პროცესში ჩართულია დამსაქმებელთა 29%, სტუდენტების საწარმოში პრაქტიკის უზრუნველყოფის პროცესში, მათ შორის სამუშაოზე შეფასების პროცესში ჩართულია დამსაქმებელთა 28%, სტუდენტების შერჩევის პროცესში მონაწილეობას იღებს დამსაქმებელთა 17%, საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პროცესში მონაწილეობს დამსაქმებელთა 10%, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში ჩართული აღმოჩნდა გამოკითხულ დამსაქმებელთა 16%.



ამასთან, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი დამსაქმებელი, რამაც შეადგენა გამოკითხულ დამსაქმებელთა 45%, რამდენიმე მიმართულებით თანამშრომლობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

იცნობთ თუ არა, სსიპ კოლეჯ „აისს?“ ამ კითხვაზე გამოკითხულ რესპოდენტთა 72%-მა უპასუხა, რომ იცნობს, 26%-მა განაცხადა, რომ მეტ-ნაკლებად იცნობს და მხოლოდ 2%-მა განაცხადა, რომ არ იცნობს.



ფიქრობთ თუ არა, რომ კოლეჯ „აისის“ კურსდამთავრებულები კარგად არიან მომზადებული სამუშაოს განსახორციელებლად? ამ კითხვაზე პასუხი გასცეს იმ დამსაქმებლებმა, რომლებსაც მეტ-ნაკლებად შეხება ქონიათ კოლეჯ „აისთან“ ან დასაქმებული ყავთ კოლეჯის კურსდამთავრებულები. მათგან 75%-მა უპასუხა, რომ კოლეჯის კურსდამთავრებულები საკმაოდ კარგად არიან მომზადებულები და წარმატებით ართმევენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. 21%-მა განაცხადა, მეტ-ნაკლებად კარგად არიან მომზადებულები, 4%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა და მხოლოდ 1%-ის აზრით, კურსდამთავრებულებს ესაჭიროებათ გადამზადება.



რა ცოდნა არ მიგაჩნიათ საკმარისად პროფესიული კურსდამთავრებულების განათლებაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას? დამსაქმებელთა უმრავლესობამ უპასუხა, რომ ამ კითხვაზე უჭირთ პასუხის გაცემა, რადგან კურსდამთავრებულებს საკმარისი პროფესიონალიზმი გააჩნიათ და პრაქტიკასთან ხშირი შეხებით მათი პროფესიონალიზმი უფრო იხვეწება. თუმცა, ნაწილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, ახალ ტექნოლოგიებთან მეტი პრაქტიკული გამოცდილება.



კითხვაზე, პროფესიული სასწავლებლის რამდენი კურსდამთავრებული მიიღეს ბოლო ერთი წლის განმავლობაში, გამოკითხულ დამსაქმებელთა 72%-მა განაცხადა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიიღო პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულების გარკვეული რაოდენობა და მათი რიცხვი ზოგიერთ საწარმოში მერყეობს ერთიდან ხუთამდე. პარტნიორ კომპანიებში გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს პროფესიული კოლეჯიდან სტუდენტების სტაჟირებაზე აყვანა და შემდგომ მათი დასაქმება სხვადასხვა მიმართულებით.

რაც შეეხება, პროფესიული სასწავლებლის რამდენი კურსდამთავრებული გაანთავისუფლეს ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ამ კითხვაზე რესპოდენტთა უმრავლესობამ (82%) განაცხადა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ გაუნთავისუფლებია პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულები, მხოლოდ 12%-მა განაცხადა, რომ მათმა რამდენიმე თანამშრომელმა, რომელთაც მიღებული ქონდათ პროფესიული განათლება, თავად მიიღეს გადაწყვეტილება

სამუშაოს დატოვებასთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ სასტუმრო და სარესტორნო სექტორს მენეჯმენტში ჰყავთ მუდმივი კადრები, თუმცა, სეზონურად უწევთ სერვისის სფეროში კადრების დამატება (კულინარი, მზარეული, მზარეულის დამხმარე, კონდიტერი, მიმტანი, ჭურჭლის მრეცხავი). აღნიშნული პოზიციები მათთვის მუდმივად მოთხოვნადია.

რა ცვლილებები უნდა იყოს გათვალისწინებული სასწავლო პროგრამის შესაბამისობის გასაზრდელად 3-5 წლის განმავლობაში, ამ კითხვაზე რესპოდენტთა 29%-მა განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა სწავლის შედეგების დადასტურების მეთოდოლოგიის შეცვლა, 16%-მა თემატიკის შეცვლაზე გააკეთა აქცენტი, ხოლო 12%-მა სწავლის შედეგების შეცვლაზე. რესპოდენტთა 43%-ს გაუჭირდა აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა. გრაფიკულად რესპოდენტთა პასუხები შემდეგნაირად გამოიყურება:



რაც შეეხება, კითხვას იმის შესახებ, სხვადასხვა სფეროების მიმართულებით უახლოეს 3-5 წელიწადში, რომელი მნიშვნელოვანი უნარები, ცოდნა და თვისება დასჭირდებათ პროფესიული კოლეჯების კურსდამთავრებულებს პროფესიული საქმიანობისთვის, რესპოდენტთა უმრავლესობამ (21%) დაასახელა კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლება და გარემოში სწრაფი ადაპტირების უნარი (19%), ასევე, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ დასაქმებულს ქონდეს სიახლეებისადმი მუდმივი მზაობა (18%), პასუხისმგებლობის გრძნობა (15%) და

მუდმივად ზრუნავდეს საკუთარ თვითგანვითარებაზე (16%), რაც შეეხება ციფრული უნარ-ჩვევების ქონას, დამსაქმებელთა 11%-მა განაცხადა, რომ მის სფეროში ეს აუცილებელია. რესპოდენტთა უმრავლესობამ ასევე განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია შრომისმოყვარეობა და დასაქმებულს უნდა ქონდეს გუნდური მუშაობის უნარი. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებელთა უმრავლესობამ ჩამონათვალიდან ორ და მეტ უნარსა და თვისებაზე გაამახვილა ყურადღება, რაც ადასტურებს, რომ აღნიშნული უნარ-ჩვევები დასაქმებისთვის პრიორიტეტულია.



გვითხარით, თუ შეიძლება, რომელი პროფესიის სპეციალისტები შეიძლება მიიღოთ ამ ეტაპზე თქვენს ორგანიზაციაში? აღნიშნულ კითხვაზე რესპოდენტთა უმრავლესობამ დაასახელა ის სპეციალობები, რომელი მიმართულებითაც მუშაობს მისი კონკრეტული საწარმო თუ ორგანიზაცია.

გამოიკვეთა, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში მომუშავე საწარმოებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი პროფესიები, როგორიცაა: ღვინის ტექნოლოგი, მეღვინე, მევენახე, აგრონომი, მებაღე, სატყეო საქმის სპეციალისტი, ვეტერინარი, მეფუტკრე. წარმოებისა და გადამუშავების სექტორში მოთხოვნადია ხილისა და ბოსტნეულის გადამმუშავებელი, საკვების უსაფრთხოების ტექნოლოგი. ინჟინერიისა და საინჟინრო საქმის მიმართულებით მომუშავე საწარმოებისთვის ელექტრიკოსები, ელექტრონული მოწყობილობების სპეციალისტები, შემდუღებლები, დურგლები, ხის კონსტრუქციების სპეციალისტები, ავტომობილის შემკეთებლები, ავტომექანიკოსები და დიაგნოსტიკის სპეციალისტები.

არქიტექტურისა და მშენებლობის მიმართულებით შრომის ბაზარზე მოთხოვნადია ისეთი სპეციალობები, როგორიცაა: მშენებელი, იატაკისა და ფილის სამუშაოების სპეციალისტი, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე. პერსონალური მომსხურების მიმართულებით: კულინარები, მზარეულები, კონდიტერები, მიმტანები. მნიშვნელოვანი იყო ჯანდაცვის სექტორში მომუშავე დამსაქმებლების პასუხი რომ ნებისმიერ ეტაპზე მიიღებენ ექთნებს, რადგან ძალიან ჭირს კვალიფიციური კადრი და ზოგჯერ ადგილზე უწევთ გადამზადება. ასევე, ყველა ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა IT სპეციალისტები. რაც შეეხება ხელოვნების მიმართულებას, ყოველთვის მოთხოვნადია თმისა და სილამაზის მომსახურება, სტილისტები, მანიკურისა და პედიკურის სპეციალისტები, ვიზაჟისტები, მასაჟის სპეციალისტები. ასევე, ტურიზმის მზარდი ტენდენციის პირობებში მოთხოვნადია კერამიკული ნაკეთობის ოსტატები, მომინანქრების, თექისა და მხატვრული ქსოვილების სპეციალისტები.

გვითხარით, თუ შეიძლება, რომელი პროფესიის სპეციალისტებზე შეიძლება გაჩნდეს მოთხოვნა თქვენს დარგში მომდევნო 1-3 წლის განმავლობაში? კერძო სექტორის წარმომადგენლებმა დაასახელეს ის სფეროები და პროფესიები, რომლებიც მათი აზრით სამომავლოდ იქნება საჭირო ან სავარაუდოდ, შეიძლება გაჩნდეს მოთხოვნა მომდევნო 1-3 წლის განმავლობაში მათი საწარმოებში ან ზოგადად რეგიონის საჭიროებიდან გამომდინარე.

პროფესიების ჩამონათვალი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. დამსაქმებელთა აზრით, გაიზრდება მოთხოვნა აგრარული მიმართულების ყველა სპეციალობაზე და სოფლის მეურნეობის სპეცალისტებზე, მათ შორის ბიო მიმართულებით. მათ შორის დასახელდა: მეღვინე, მევენახე, ბიომევენახე, აგრონომი, ღვინის ტექნოლოგი, ვეტერინარი, ზოოტექნიკოსი, ვეტ-ფარმაკოლოგი, მეტყევე, მეფუტკრე, მებაღე, მებაღჩე, მებოსტნე, მცენარეთა დაცვის სპეციალისტი, ხილისა ბოსტნეულის გადამმუშავებელი, საკვების უსაფრთხოების ტექნოლოგი და სხვა.

მოთხოვნა გაიზრდება ასევე, კომპიუტერული ქსელისა და სისტემების და ზოგადად ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების პროფესიებზე, რადგან კომპანიებს მუდმივად სჭირდებათ კომპიუტერული ტექნოლოგიების საუკეთესო სპეციალისტები, რომლებიც ტექნიკურ პრობლემებს მყისიერად აღმოფხვრიან და პასუხისმგებელიც იქნებიან ქსელის გამართულ მუშაობაზე.

კერძო სექტორის მხრიდან მოთხოვნად პროფესიებში დასახელდა ასევე, ბუღალტერია, რომელიც ისევე, როგორც კომპიუტერული ტექნოლოგიის სპეციალისტი, ნებისმიერ ბიზნესს სჭირდება. გარდა ამისა, კვალიფიციური ბუღალტერი მნიშვნელოვანია საგადასახადო სამსახურებთან ურთიერთობაში, კომპანიების ფინანსურად გამართვასა და გაუთვალისწინებელი ხარჯების თავიდან აცილებაში.

საჯარო სექტორის წარმომადგენლების მხრიდან ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულების სპეციალობებიდან დასახელდა ადმინისტრაციული სერვისების სპეციალისტიც, ვინაიდან ორგანიზაციებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, დოკუმენტ-ბრუნვის ხარისხიანად წარმოება, შეხვედრების, კლიენტებთან ურთიერთობისა და შიდა პროცესების ორგანიზება.

ინჟინერიისა და საინჟინრო საქმის მიმართულების სპეციალობებიდან ყველაზე მოთხოვნად პროფესიებად ელექტრიკოსი, ელექტრომემონტაჟე, შემდუღებელი, დურგალი და მშენებელი დასახელდა. რესპოდენტთა აზრით, მომავალში პრიორიტეტული იქნება ინფრასტრუქტურული სამუშაოები და მოთხოვნა გაიზრდება არქიტექტურისა და მშენებლობის მიმართულების ისეთ სპეციალობებზეც, როგორიცაა იატაკისა და ფილის სამუშაოების სპეციალისტი და თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე. დამსაქმებლების აზრით, ამ ეტაპზე საკმაოდ მოთხოვნადია ავტომობილის შეკეთება და განსაკუთრებით გაიზრდება მოთხოვნა ავტომობილის ელექტრიკოსზე, რადგან იზრდება ელექტრო ენერგიაზე მომუშავე ავტომობილების რიცხვი და ამ სფეროში სამომავლოდ უფრო მეტი პროფესიონალი იქნება საჭირო.

მომსახურეობის სფეროს სპეციალობებიდან გამოიკვეთა კულინარიის ხელოვნების, მზარეულის, კონდიტერისა და მიმტანის პროფესიები. ასევე, როგორც ჩანს, მოთხოვნა გაიზრდება თმის სტილისტებზე, სპა-თერაპევტებზე, ფიტნეს ინსტრუქტორებსა და ტურიზმის მიმართულების სპეციალობებზე.

რაც შეეხება, ჯანდაცვის სექტორში მომუშავე დამსაქმებლებს, მათთვის პრიორიტეტული აღმოჩნდა კვალიფიციური ექთნები, რადგან ამ მიმართულებით კადრების დეფიციტია. სავარაუდოდ, სამედიცინო მიმართულების სპეციალობები აქტუალობას არასოდეს დაკარგავს და მათზე მოთხოვნა მომავალში უფრო გაიზრდება.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა თუ რომელი პროფესიებია დამსაქმებლებისთვის ყველაზე მოთხოვნადი. აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა სფერო აქტუალურია, მაგრამ გამოიკვეთა პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავებისთვის შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები: კულინარია (მზარეული; კონდიტერია); ელექტროობა; შედუღება; მევენახეობა-მეღვინეობა; ხე-ტყის დამზადება; ტყის აღდგენა-გაშენება; მომსახურება; ინჟინერია (მსუბუქი ავტომობილის შემკეთებელი, კედლისა და იატაკის ფილებით მომპირკეთებელი); მებოსტნეობა/მებაღჩეობა; მებაღეობა; მცენარეთა დაცვა; ჰაერის კონდიცირების სპეციალისტი; განახლებადი ენერგია; სურსათის უვნებლობა; აგრონომია; ვეტერინარია; ხელოვნება (კერამიკული ნაკეთობის დამზადება, მომინანქრება).

კითხვაზე, როგორი იქნება თქვენი სურვილები პროფესიული სასწავლებლის მიმართ, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს თქვენი საწარმოს/ორგანიზაციის საქმიანობისთვის საჭირო პროფესიებში, რესპოდენტთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ მათთვის პრიორიტეტულია ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება საწარმოებსა და პროფესიულ კოლეჯებს შორის და ყოველწლიურად რაც შეიძლება მეტი კვალიფიციური კადრის გამოშვება პროფესიული სასწავლებლების მხრიდან.

ასევე, დამსაქმებლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია იყო, პრაქტიკული მიმართულებით სტუდენტებისთვის უფრო მეტი აქტივობების დანერგვა შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით.

დასკვნა

გამოკითხვის შედეგებით შეიძლება დავასკვნათ, რომ კოლეჯ „აისის“ მიერ შეთავაზებულ და მიმდინარე თითქმის ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არის მოთხოვნა. პარტნიორ დამსაქმებელთა დიდი ნაწილი აქტიურად თანამშრომლობს კოლეჯ „აისთან“. ძირითადად თანამშრომლობის ფორმას წარმოადგენს დუალური პროგრამები, რომლის ფარგლებშიც პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლის სტუდენტები პრაქტიკებს გადიან კომპანიებში. კომპანიებს შორის გავრცელებული პრაქტიკაა კომპანიის წარმომადგენლების

ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში, აგრეთვე, ჩართულობა სასწავლო პროგრამის შედგენაში, რათა მათი მოთხოვნები და სამუშაო სპეციფიკა გათვალისწინებული იყოს სასწავლო პროგრამებში. პოტენციურ დამსაქმებლებს აქვთ მზაობა, ითანამშრომლონ პროფესიულ სასწავლებლებთან. ამასთან, მათთვის მისაღებია კოლეჯ „აისთან“ თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმა.

პარტნიორი კომპანიები საკუთარი თანამშრომლობის გამოცდილებას პროფესიულ კოლეჯ „აისთან“ პოზიტიურად აფასებენ. რესპონდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ, აღნიშნულ სასწავლებელში მათი თანამშრომლების გადამზადების დონით, აგრეთვე, სასწავლებლიდან მიღებული თანამშრომლების კომპეტენციის დონით.

მიზეზები, რის გამოც პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ მათი კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა გახლავთ:

➔ მათ საჭიროებებზე მორგებული ვიწრო სპეციალობები;

➔ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონე;

➔ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა მზაობა, შეასრულონ მათი პოზიციით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები, ასევე, განვითარდნენ აღნიშნული მიმართულებით.

➔ პროფესიულ სასწავლებლებში კურსდამთავრებულთა მიერ გამომუშავებული სამუშაო დისციპლინა.

იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯი „აისი“ კახეთის რეგიონში წარმოადგენს პროფესიული განათლების ყველაზე დიდ პროვაიდერს და გურჯაანის გარდა კიდევ სამ მუნიციპალიტეტში (ახმეტა, დედოფლისწყარო, ლაგოდეხი) უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დამსაქმებლის მოთხოვნების გათვალისწინებას, რაც შესაძლებლობას მოგვცემს გავზარდოთ რეგიონში დასაქმების მაჩვენებელი და ხელი შევუწყოთ ადგილობრივი ბიზნესის წარმოებასა და თვითდასაქმების მაჩვენებლის ზრდას.